

მეტყევე (ტყისმჭრელი, ტაქსატორი) 010551
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

მეტყევის საქმიანობა არის ტყის ფონდის და სხვა მიწების აღრიცხვის სფერო, აგრეთვე ამ ტერიტორიებზე არსებული ხე-ტყის, ტყის არამერქნითი და მეორეხარისხოვანი პროდუქციის დამზადების სფერო. მეტყევის პროფესია არის მომხმარებელზე ორიენტირებული პროფესია და გულისხმობს მომხმარებლისათვის მაღალი ხარისხით და მოკლე დროში სამუშაოების შესრულებას.

II. დასაქმების სფერო

ტყის მეურნეობის სხვადასხვა ტიპის ობიექტები, სადაც ტარდება/ან ჩატარდება/ტყის ტაქსაციური აღრიცხვითი, საინვენტარიზაციო, ტყეკაფითი და ტყის განაშენიანების სამუშაოები.

III. დამატებითი მოთხოვნები

- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მეტყვევის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი (III,IV,V). თითოეული საფეხურის პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დასტურდება პროფესიული დიპლომით.

მეტყვევის (ტყისმჭრელი, ტაქსატორი) მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს 50 კრედიტს. მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მეტყვევის (ტყისმჭრელი, ტაქსატორი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მეტყვევის (ტყისმჭრელი, ტაქსატორი) მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მეტყვევის (ტყისმჭრელი, ტაქსატორი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მეტყვევის (ტყისმჭრელი, ტაქსატორი) მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მეტყვევის (ტყისმჭრელი, ტაქსატორი) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მეტყვევე მეტყვევის (ტყისმჭრელი, ტაქსატორი) მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებულ ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები ,ინსტრუმენტები და იარაღები .</p>	<p>იცის: ტყის არსებობა-განვითარების კანონები; ტყის შემადგენელი ჯიშების ბიოლოგია, ტყისა და გარემოს ურთიერთკავშირი, ტყის ბუნებრივი და ხელოვნური განახლება, ტყის ხელოვნური განახლებისათვის საჭირო სარგავი მასალის გამოყვანის წესები, სატყეველტურო სამუშაოების ტექნოლოგია.</p> <p>ტყის მოვლა-აღზრდის რაციონალური მეთოდები და კორომის ძირითადი ნიშან-თვისებები, მის შემადგენელ ცალკეულ სახეობათა გამოყენება. ტყის ჭრის წესები, მათი სწორად წარმოება.</p> <p>იცნობს: ჭრის მთავარ კატეგორიებს, ტყეკაფის გამოყოფის მეთოდებს და აღრიცხვის წესებს ტაქსაციური ელემენტების გამოყენებით, ტყეკაფის გაწმენდის მეთოდებს ჭრის შემდეგ, ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვისათვის და შემდგომი ტრანსპორტისათვის მანქანებსა და მექანიზმებს, მათ უსაფრთხო გამყენებას, საჭრელი იარაღების და მოწყობილობების გამოყენებას უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნათა შესაბამისად, მათი მოვლაშენახვის წესებს. იცის ხე-ტყის აღრიცხვის, გაზომვის, მოცულობის დადგენის წესები, აღრიცხული ხე-ტყის სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების წესები.</p> <p>იცნობს :საქართველოს სატყეო კოდექსს; სატყეო ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს, ტყეთსარგებლობის ,სხვადასხვა სახეების შესაბამის სანებართვო დოკუმენტებს, გათავისებული აქვს პასუხისმგებლობა ტყეთსარგებლობის წესების დარღვევისათვის.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს</p>	<p>შეუძლია: სამუშაო ობიექტის მომზადება ,ხე-ტყის დამზადების დაწყებისათვის იქონიოს მზადყოფნაში ტყეკაფის გამოყოფის მასალები ,მისი ჯიშების ასორტიმენტის და სხვა ტაქსაციური მონაცემების გათვალისწინებით, ხეების ჯიშების და ხარისხების</p>

	სათანადო მეთოდები ,ინსტრუმენტები და იარაღები	გარჩევა.სამუშაო იარაღების მომზადება სამუშაოს დასაწყებად ,სანიტარული ნორმების დაცვით მოამზადოს ობიექტი,იზრუნოს მომუშავეთა შრომითი პირობების შექმნისათვის.ხეტყის განლაგება ზედა საწყობში ასორტიმენტის მიხედვით,ჭრის ადგილების გაწმენდა ხეტყის ნარჩენებისაგან.მომხმარებლის მოთხოვნით დასამორი ხეტყის სორტიმენტებად დანაწევრება.საჭიროების შემთხვევაში ტყის სამუშაოების სატრანსპორტო მექანიზმების გამოყენება.
დასკვნის უნარი	ავლენს სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნების დამოუკიდებლად გაკეთების უნარს,შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში,წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა,მათი შეფასება და ანალიზი.	შეუძლია კონტროლის გარეშე დამოუკიდებლად მუშაობა,სატყეო უბანზე მომუშავე პერსონალის მითითებების ,მიღება გათვალისწინება და სათანადო დასკვნების გამოტანა,დამოუკიდებლად ან ხეტყის დამზადების ინჟინერთან ერთად მიიღოს ყველა გადაწყვეტილება,შუძლია მომხმარებელთა საჩივრების გათვალისწინება და მათი მოთხოვნის შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება,ტყეკაფზე მომუშავე პერსონალთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილება ბუნებრივად თუ ხელოვნურად მოთხრილი და მოტეხილი ხეტყის ნარჩენების ,მოგროვებისა და აღრიცხვის თაობაზე.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ,ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია,ფლობს საინფორმაციო და საკონუმუნიკაციო ტექნოლოგიებს ,შეუძლია ელემენტარული კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.	შეუძლია :კომუნიკაცია ხეტყის დამზადებაზე მომუშავე პერსონალთან,მათი დავალებებისა და თხოვნის ყურადღებით მოსმენა ,მოსმენილის გაგება გააზრება.წარმოქმნილი პრობლემების შესახებ ინფორმაციის დეტალური და ამომწურავი მიწოდება.შეუძლია ინფორმაციის მოპოვება ინტერნეტიდან ,ჟურნალებიდან და ტყის ჭრის წესებიდან.ფლობს უცხოენას საკონომუნიკაციო დონეზე.

სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა,დამუკიდებლობის გარკვეული ხარისხით	შეუძლია: სასწავლო პროგრამის მთლიანი ათვისება,ნასწავლი მასალის გადმოცემა შეფასების მიღება,შეუძლია ლიტერატურის და სხვა წყაროების მოძიება დამუშავება და ანალიზი.

ღირებულებები:	გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად	~გაცნობიერებული აქვს რომ ხეტყის წესისამებრ მოჭრა. მისი დამორვა იმ სახის სორტიმენტებად რომ სამასალე მერქნის გამოსავლიანობა იყოს მაქსიმალური ზრდის შემოსავლებს და ამცირებს ბუნებაზე ზედმეტ დატვირთვას,გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოვალეობები ფუნქციები და პასუხიმგებლობა. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და მომხმარებლებთან ურთიერთობის კულტურის მოთხოვნებს.
---------------	---	---

მეტყევის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს</p>	<p>გაცნობიერებული აქვს მისი სამუშაო ობიექტის ადგილი და სამუშაო პირობები; იცის: სანიმუშო ფართობისა და გამოსაყოფ ტყეკაფზე ტყის აღრიცხვითი სამუშაოების წარმოება; ნახანძრალი ან ფიტო და ენტო-მავნებლებით დაავადებული ხეების ადგილმდებარეობის შემოფარგვლა დამოუკიდებლად ან ინჟინერ-ტაქსატორის ხელმძღვანელობით; კერძო სატყეოების და მიწის ნაკვეთების შემოფარგვლა ხელსაწყო "GPS" -ით და სათანადო უწყისის შევსება.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია: ასისტენტობა გაუწიოს ინჟინერ-ტაქსატორს; დამოუკიდებლად შეუძლია სამუშაო ობიექტის ტერიტორიაზე იმ სამუშაოთა შესრულება, რომელიც სავალე პირობებში გასვლის წინ დაგეგმილი იყო ინჟინერ-ტაქსატორის და მოსაწყობი ობიექტის საკუთრების სხვადასხვა ფორმით მფლობელის მიერ; გამოიყენოს სამუშაო ინსტრუმენტები და იარაღები უსაფრთხოდ და დანიშნულებისამებრ; მათი მოვლა და შენახვა; "GPS" -ით ტყის ფონდის მიწების აღრიცხვა და ორთოფოტოგეგმების გამოყენება;</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება; ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი.</p>	<p>შეუძლია: სამუშაო პროცესში გამოვლენილი ყველა სახის პრობლემის ამოცნობა და ინჟინერ-ტაქსატორის ინფორმირება მიმდინარე პრობლემის შესახებ; ტყის ფონდის აღრიცხვის ობიექტზე მყოფი სხვა პერსონალის მითითებებისა და შენიშვნების მიღება, გათვალისწინება და სათანადო დასკვნის გამოტანა სანიმუშო ფართობზე და ტყესაკავის ადების დროს წარმოქმნილ პრობლემასთან დაკავშირებით; სავალე პირობებში ჩატარებულ თრეინინგებში მონაწილეობა და სხვა მონაწილეთათვის გარკვეული სახის მითითებების მიცემა; მოსაწყობი ობიექტის საკუთრების სხვადასხვა ფორმით მფლობელის მიერ მიცემული ტექნიკური დავალების პირობების შესრულება; საჭიროების შემთხვევაში მათი</p>

<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში; ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება; უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>შეცვლა საქმის პირობებიდან გამომდინარე.</p> <p>შეუძლია ქართულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; ტყის ფონდის ობიექტებზე მომუშავე სხვა პერსონალთან კომუნიკაცია; მათი დავალებებისა და თხოვნის ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გაგება, გააზრება და საჭიროებების დაზუსტება; სანიმუშო ფართობებისა და ტყეკვაფების აღრიცხვის დროს წარმოქმნილი პრობლემის შესახებ ინფორმაციის დეტალური და ამომწურავი მიწოდება; ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ძირითად დონეზე; შეუძლია ინფორმაციის მოძიება ინტერნეტიდან, ჟურნალებიდან და იმ დებულებებიდან და წესებიდან, რომლების ეხება ტყის ფონდის აღრიცხვის ობიექტებზე სამუშაოს წარმოებას; ფლობს უცხო ენას საკომუნიკაციო დონეზე, შეუძლია სხვადასხვა სახის ტექსტების წაკითხვა; დიალოგის წარმართვა და ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა, განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივად</p>	<p>შეუძლია განსაზღვრული პროგრამის ნაწილის ათვისება და შესწავლა; სასწავლო მასალის გადმოცემა, შეფასების მიღება; აქვს უნარი ისწავლოს პირადად მოძიებული ლიტერატურის მიხედვით; საკუთარი სწავლის დაგეგმვა და სწავლის შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უზრუნველყოფა.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციაში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>გაცნობიერებული აქვს, რომ სანიმუშო ფართობის ზუსტად და ხარისხიანად შესრულება საწინდარია ტყის ფონდის ამ ტერიტორიის უცილობლად ტენდერზე გატანისა და სახელმწიფოსათვის მისაღებად ფასად გასხვისებისა, რაც გაზრდის შემოსავლებს სახელმწიფო ბიუჯეტში; საკუთარი მოვალეობები, ფუნქციები და პასუხისმგებლობა; ახასიათებს ორგანიზულობა, დისციპლინა, პუნქტუალობა და მოწესრიგებულობა; საკუთარი და სხვისი ფუნქციების და მოვალეობების გაცნობიერება; კონსტრუქციული თანამშრომლობა და კეთილგანწყობა კოლეგებთან და სხვა პერსონალთან, სხვისი დახმარება და საქმისადმი პატიოსანი და ეთიკური მიდგომა.</p>

მეტყვე-ტექსატორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული ცოდნა; აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>ფლობს მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის მეტყვევის ცოდნას; შეუძლია: დემიფრირებული ორთოფოტოსურათებით და ხელსაწყო "GPS"-ით საველე პირობებში ტყის ფონდის აღრიცხვისა და მიწათმოწყობის სამუშაოების ჩატარების ადგილის დაზუსტება და სათანადო უწყისის შევსება; ტყის ფონდის ტერიტორიაზე მოსაწყობი ობიექტის საკუთრების სხვადასხვა ფორმით მფლობელის მიერ მიცემული ტექნიკური დავალების შესრულება და განსაზღვრულ სიტუაციაში მისი შეცვლა,</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმეთებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია: მრავალფეროვან გარემოში სამუშაოს მიზანმიმართულად მართვა; აქვს მართვისა და ორგანიზაციული უნარები; შეუძლია სამუშაო ობიექტზე საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზება და ადამიანური და სხვა რესურსების განაწილება;</p> <ul style="list-style-type: none"> * მომხმარებლის ხარისხიანი მომსახურებით უზრუნველყოფა; * სამუშაო ობიექტზე ზოგადი გეგმის შემუშავება; * სამუშაოსათვის საჭირო აღჭურვილობისა და მოწყობილობების შერჩევა, მათი გამოყენების, მოვლისა და შენახვის წესები; * საქმიანობისათვის საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსის შერჩევა, მათი ფუნქციების განსაზღვრა და მუშაობის სქემების შედგენა;
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემის ამოცნობა; მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია: ტყის ფონდის და სხვა მიწებზე აღრიცხვითი სამუშაოების წარმოებისას წარმოქმნილი პრობლემის სიღრმისეული დანახვა და მის გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომების შემუშავება; სხვადასხვა შესაძლებლობების განხილვა და მათგან ყველაზე ოპტიმალურის ამორჩევა; ტყის ფონდისა და სხვა მიწებზე არსებული ტყის აღრიცხვით მიღებული შედეგის ანალიზი და სათანადო დასკვნის გაკეთება; ყურადღებას უთმობს დეტალებს; კოლეგების მოსაზრებების და რჩევის მიღება, გათვალისწინება და სათანადო დასკვნის გამოტანა; აქვს ანალიზისა და სინთეზის უნარი; საკუთარი და სხვისი საქმიანობის კრიტიკულად შეფასების უნარი;</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და</p>	<p>შეუძლია: ტყის ფონდზე და სხვა მიწებზე არსებული ტყეების ტაქსაციური აღრიცხვის დროს მიღებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის</p>

	<p>თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით; იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიათა დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>წარდგენა ყველა საჭირო ფორმატით; საკუთარი იდეებისა და საჭირო ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტების, კოლეგებისა და დამკვეთისათვის, როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით; ათვისებული აქვს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; შეუძლია უცხო ენაზე სამუშაო პროფილის ნებისმიერი საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა, წარდგენა და პრეზენტაცია.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>სამომავლოდ შეუძლია საკუთარი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის დამოუკიდებლად დაგეგმვა.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.</p>	<p>გაცნობიერებული აქვს მის მიერ შესრულებული ტყეების აღრიცხვითი სამუშაოების ხარისხის მნიშვნელობა; განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტყესაკავების აღრიცხვის საქმეს, როგორც შემოსავლების გაზრდისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში; ნებისმიერ სიტუაციაში იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, აფასებს საკუთარ და კოლეგების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისადმი და საკუთარი პროფესიისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს უზიარებს კოლეგებს; აქვს შემოქმედებითი და ადამიანური ღირებულებები და ზრუნავს მათ განვითარებაზე.</p>